

იზრუნე საზოგადოებაზე, თუ გსურს, თვითონ იყო

უზრუნველყოფილი

ნებისმიერ ადამიანს, პირველ რიგში, საკუთარი პრობლემები აწუხებს, მაგრამ კერძო ინტერესებთან ერთად არსებობს პასუხისმგებლობა: ოჯახისადმი, თანამოქალაქისადმი, სახელმწიფოსადმი. საზოგადოება ინდივიდებისგან, თითოეული ჩვენგანისგან შედგება. ამიტომ, ამ პასუხისმგებლობის გაცნობიერების გარეშე სახელმწიფოს წინსვლა შეუძლებელია. მაგალითად, იმისთვის რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმებასა თუ თანადგომაზე ვიზრუნოთ, აუცილებელი არ არის თვითონ ვიჯდეთ ინვალიდის სავარძელში. სახელმწიფომ, მოქალაქეებმა, პირველ რიგში, ამ ადამიანებს უნდა მივცეთ რეალიზაციისა და განვითარებისთვის საშუალება. მნიშვნელოვანია ადამიანებმა დამოუკიდებლად ისწავლონ საკუთარი პრობლემების მოგვარება. მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ამას ვერ ახერხებს და საკმარისი რესურსი არ გააჩნია. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, ამ მხრივ უკვე მრავალი მაგალითი არსებობს.

ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და ეფექტური გზა სოციალური მეწარმეობაა, რომელიც თავისი არსით სწორედ საზოგადოების კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. მისი მიზანია, იზრუნოს ხალხისთვის აქტუალურ საჭიროებებზე და არა გარკვეული პირების პირად ინტერესებზე. სოციალური საწარმოს შექმნა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. მთავარია ჰქონდეს იდეა, გააჩნდეს ბიზნესის მართვის უნარი და სოციალური მიზანი. რა გზითაც, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები ერთდროულად ხორციელდება. სოციალურ მეწარმეობას საზოგადოებისთვის არაერთი სარგებელი მოაქვს. კერძოდ, ქმნის სამუშაო ადგილებს. თავის თავზე იღებს მოსახლეობის იმ ჯგუფების დასაქმებას, რომლებსაც ჩვეულებრივ პირობებში სამსახურის შოვნა უჭირთ. ამასთან, სოციალურ მეწარმეობას წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

სოციალური საწარმეობის შექმნით, ძირითადად, საზოგადოებრივი ორგანიზაციები არიან დაინტერესებული. ერთ-ერთი ასეთი სათემო კავშირია „ნუკრიანი“, რომელიც 2005 წელს შეიქმნა. ორგანიზაციის მიზანი სოფელ ნუკრიანში ახალგაზრდების განათლებისა და თემის განვითარების ხელშეწყობაა. კავშირის ინიციატივით სოფელში „ქალთა ხელგარჯილობის სახელოსნო“ შეიქმნა, სადაც 2 წლის განმავლობაში 50-მა ქალმა სხვადასხვა ხელობა შეისწავლა. სოციალური საწარმოში ამ ეტაპზე 17 ქალბატონია დასაქმებული, რომლებიც მარტოხელა, მრავალშვილიანი დედები და ქვრივები არიან. მათთვის ამ სამსახურს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ნუკრიანის საწარმომ უკვე არაერთი უცხო ქვეყნის გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

ამ ტიპის საწარმოს მასშტაბი განსაზღვრული არ არის და ის შეიძლება მერყეობდეს სოფლის მაღაზიიდან დიდ სამშენებლო ფირმამდე. მთავარია ფინანსური მოგება სოციალური პრობლემების მოგვარებაზე იყოს მიმართული.

ჟურნალისტი სოფო ჯიაძე

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი